არც აბრეშუმი და არც ოქროსფერი ქსოვილი(აბრეშუმი ოქროს უზორებით) არ ატაროთ, არც ოქროს და ვერცხლის ჭურჭლიდან დალიოთ და არც ასეთ ჭურჭელში ჭამოთ, რადგან ეს ყველაფერი ამ ცხოვრებაში მათთვისაა განკუთვნილი, ხოლო ჩვენთვის - საიქიო ცხოვრებაში

'აბდურრაჰმან იბნ აბი ლაილა გადმოსცემს, ისინი ჰუზაიფასთან იყვნენ, როდესაც მან სთხოვა წყალი და მას ერთმა მაჯუსმა(ცეცხლთაყვანისმცემელმა) დაალევინა. როდესაც მან წყლის ჭიქა გაუწოდა, ჰუზაიფამ ის გაიქნია და თქვა: "რომ არ ამეკლრძალოს მისთვის არა ერთხელ დ არც ორჯერ – თითქოს მას უნდოდა რომ ეთქვა: მე არ გავაკეთებდი ამას – მაგრამ მე გავიგონე ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არც აბრეშუმი და არც ოქროსფერი ქსოვილი(აბრეშუმი ოქროს უზორებით) არ ატაროთ, არც ოქროს და ვერცხლის ჭურჭლიდან დალიოთ და არც ასეთ ჭურჭელში ჭამოთ, რადგან ეს ყველაფერი ამ ცხოვრებაში მათთვისაა განკუთვნილი, ხოლო ჩვენთვის - საიქიო ცხოვრებაში».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კაცებს აუკრძალა აბრეშუმის ტანისამოსის ნებისმიერი სახეობის ტარება. მან კაცებსა და ქალებს აუკრძალა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელში ჭამა და სმა. მან ასევე აცნობა, რომ ასეთი ჭურჭელი განკითხვის დღეს განსაკუთრებით მორწმუნეთათვის განკუთვნილი იქნება, რადგან ისინი ამქვეყნად ალლაჰის მორჩილების მიზნით მათგან თავს იკავებდნენ. რაც შეეხება ურწმუნოებს, საიქიო ცხოვრებაში მათთვის ეს არ იქნება, რადგან ამქვეყნად მათ ისარგებლეს სიკეთეებით, ალლაჰის ბრძანების დაუმორჩილებლად.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/2985